განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

დღეს მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგების თანახმად, საქართველოს დაზვერვის სამსახური არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობას,[1] ხოლო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებას.[2]

სადაზვერვო საქმიანობა არის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, რეალიზაცია, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში ქვეყნის სტრატეგიული კურსის გატარებისთვის ხელის შეწყობა.[3] საქართველოს დაზვერვის სამსახური სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, ინფორმაციულ და ეკოლოგიურ სფეროებსა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში.[4] საქართველოს სადაზვერვო სამსახური ახორციელებს აგრეთვე საგარეო კონტრდაზვერვით საქმიანობას.[5] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი დადგენილია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის შემდეგი მიმართულებები: ა) საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ

---

[1] იხ. „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

[2] იხ. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

[3] იხ. „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

[4] იხ. „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, აგრეთვე „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

[5] იხ. „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი

პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან დაცვა; ბ) საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და მათი დაცვის უზრუნველყოფა; გ) ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დ) ტერორიზმთან ბრძოლა; ე) სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; ვ) კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება; ზ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მათი შესრულების კონტროლი; თ) ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.[6]

ამდენად, დღეს მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგების თანახმად, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები და ამოცანები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, მეტიც, ეს ფუნქციები და ამოცანები მთელ რიგ შემთხვევებში ერთი და იმავე კანონისმიერი მიზნის მიღწევას ემსახურება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, აღნიშნული ფუნქციების, ამოცანებისა და მათი შესრულებისთვის პასუხისმგებელი სუბიექტების საერთო ორგანიზაციული და საერთო მართვის სისტემის ფარგლებში მოქცევა, რაც გაზრდის მათ ეფექტიანობას.

ამრიგად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულების სახით არსებული საქართველოს დაზვერვის სამსახურის გარდაქმნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად, რაც ხელს შეუწყობს ამ სამსახურებს შორის საქმიანობის კოორდინაციას და მათი ფუნქციების, ამოცანებისა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი პრაქტიკა, კერძოდ, ერთი და იმავე სამსახურის სისტემის ფარგლებში როგორც სახელმწიფო უსაფრთხოებასთან, ისე სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების პრაქტიკა, მოქმედებს ნატოს ან/და ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანაში, მაგალითად:

- ავსტრია: ავსტრიაში მოქმედებს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის დირექტორატი (Direktion Staatsschutz und Nachrichtendienst).[7] იგი ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ

[6] იხ. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.
[7] იხ. https://www.dsn.gv.at/

ფუნქციებს. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის დირექტორატი ექვემდებარება საზოგადოებრივი უსაფრთხოების გენერალურ დირექტორატს (Generaldirektion für öffentliche Sicherheit), ხოლო საზოგადოებრივი უსაფრთხოების გენერალური დირექტორატი, თავის მხრივ, შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს (Bundesministeriums für Inneres) სისტემაში შედის.[8]

- თურქეთი: თურქეთში მოქმედებს ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია (Millî İstihbarat Teşkilatı),[9] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს. იგი ექვემდებარება პრეზიდენტს.[10]
- კანადა: კანადაში მოქმედებს კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახური (Canadian Security Intelligence Service).[11] იგი ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის დირექტორი თავის უფლებამოსილებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საგანგებო მდგომარეობისთვის მზადყოფნის მინისტრის (Minister of Public Safety and Emergency Preparedness) მითითებით ახორციელებს.[12]
- ლიეტუვა: ლიეტუვაში მოქმედებს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი (Valstybės saugumo departamentas),[13] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს.[14]
- საბერძნეთი: საბერძნეთში მოქმედებს ეროვნული სადაზვერვო სამსახური,[15] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ახორციელებს.[16]

---

[8] იხ. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის შესახებ და უსაფრთხოების პოლიციის შესახებ ავსტრიის კანონები:
https://ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=20009486
https://www.ris.bka.gv.at/eli/bgbl/1991/566/P6/NOR40236089

[9] იხ. https://mit.gov.tr/

[10] იხ. სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურებისა და ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაციის შესახებ თურქეთის კანონი:
https://www.mevzuat.gov.tr/mevzuat?MevzuatNo=2937&MevzuatTur=1&MevzuatTertip=5

[11] იხ. https://www.canada.ca/en/security-intelligence-service.html

[12] იხ. კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის შესახებ კანადის კანონი:
https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-23/FullText.html

[13] იხ. https://www.vsd.lt/

[14] იხ. ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლების შესახებ და სადაზვერვო საქმიანობის შესახებ ლიეტუვის კანონები:
https://www.e-tar.lt/portal/lt/legalAct/TAR.A0BAB27D768C/asr
https://www.e-tar.lt/portal/lt/legalAct/TAR.1881C195D0E2/asr

[15] იხ. https://www.nis.gr/el

[16] იხ. ეროვნული სადაზვერვო სამსახურის შესახებ საბერძნეთის კანონი:
https://search.et.gr/el/fek/?fekId=372185

- სლოვაკეთი: სლოვაკეთში მოქმედებს სლოვაკეთის საინფორმაციო სამსახური (Slovenská informačná služba),[17] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს.[18]
- სლოვენია: სლოვენიაში მოქმედებს სლოვენიის სადაზვერვო და უსაფრთხოების სააგენტო (Slovenska obveščevalno-varnostna agencija),[19] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ახორციელებს.[20]
- ხორვატია: ხორვატიაში მოქმედებს უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტო (Sigurnosno-obavještajna agencija),[21] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს.[22]

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულების სახით არსებული საქართველოს დაზვერვის სამსახური კანონპროექტის მიღების შედეგად გარდაიქმნება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად, რაც ხელს შეუწყობს ამ სამსახურებს შორის საქმიანობის კოორდინაციას და მათი ფუნქციების, ამოცანებისა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულების სახით არსებული საქართველოს დაზვერვის სამსახურის გარდაქმნას

---

[17] იხ. https://www.sis.gov.sk/

[18] იხ. სლოვაკეთის საინფორმაციო სამსახურის შესახებ სლოვაკეთის კანონი:
https://www.slov-lex.sk/ezbierky/pravne-predpisy/SK/ZZ/1993/46/20160101
https://www.zakonypreludi.sk/zz/1993-46

[19] იხ. https://www.gov.si/drzavni-organi/vladne-sluzbe/slovenska-obvescevalno-varnostna-agencija/

[20] იხ. https://www.uradni-list.si/glasilo-uradni-list-rs/vsebina/2006-01-3534

[21] იხ. https://www.soa.hr/hr/

[22] იხ. ხორვატიის რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სისტემის შესახებ ხორვატიის კანონი:
https://www.zakon.hr/z/744/zakon-o-sigurnosno-obavjestajnom-sustavu-republike-hrvatske
https://narodne-novine.nn.hr/clanci/sluzbeni/2006_07_79_1912.html

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად – ეროვნულ სადაზვერვო სააგენტოდ. ამასთანავე, კანონპროექტით წესრიგდება ამ სააგენტოს საქმიანობასთან, მართვასთან, ხელმძღვანელობასთან, ანგარიშვალდებულებასთან, ზედამხედველობასთან, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან, მისი თანამშრომლების დაცვის გარანტიებთან დაკავშირებული ის სათანადო საკითხები, რომლებიც აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარეობს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის 2025 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებას, რადგან, კანონპროექტის მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ამოქმედების ამგვარი ვადის დადგენა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ იწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. ეროვნული სადაზვერვო სააგენტოს საქმიანობასა და მისი თანამშრომლების სოციალური დაცვის გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები მიმდინარე წელს დაიფარება საქართველოს დაზვერვის სამსახურისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრებიდან, ხოლო მომდევნო წლებში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ეროვნული სადაზვერვო სააგენტოს საქმიანობასა და მისი თანამშრომლების სოციალური დაცვის გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები მიმდინარე წელს დაიფარება საქართველოს დაზვერვის სამსახურისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრებიდან, ხოლო მომდევნო წლებში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტს არ აქვს ფინანსური გავლენა იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს დაზვერვის სამსახური.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

კანონპროექტით წარმოდგენილი საკითხის მსგავსი პრაქტიკა, კერძოდ, ერთი და იმავე სამსახურის სისტემის ფარგლებში როგორც სახელმწიფო უსაფრთხოებასთან, ისე სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების პრაქტიკა, მოქმედებს ნატოს ან/და ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანაში, მაგალითად:

- ავსტრია: ავსტრიაში მოქმედებს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის დირექტორატი (Direktion Staatsschutz und Nachrichtendienst).[23] იგი ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის დირექტორატი ექვემდებარება საზოგადოებრივი უსაფრთხოების გენერალურ დირექტორატს (Generaldirektion für öffentliche Sicherheit), ხოლო საზოგადოებრივი უსაფრთხოების გენერალური დირექტორატი, თავის მხრივ, შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს (Bundesministeriums für Inneres) სისტემაში შედის.[24]
- თურქეთი: თურქეთში მოქმედებს ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია (Millî İstihbarat Teşkilatı),[25] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს. იგი ექვემდებარება პრეზიდენტს.[26]

---

[23] იხ. https://www.dsn.gv.at/

[24] იხ. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის შესახებ და უსაფრთხოების პოლიციის შესახებ ავსტრიის კანონები:
https://ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=20009486
https://www.ris.bka.gv.at/eli/bgbl/1991/566/P6/NOR40236089

[25] იხ. https://mit.gov.tr/

[26] იხ. სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურებისა და ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაციის შესახებ თურქეთის კანონი:
https://www.mevzuat.gov.tr/mevzuat?MevzuatNo=2937&MevzuatTur=1&MevzuatTertip=5

- კანადა: კანადაში მოქმედებს კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახური (Canadian Security Intelligence Service).[27] იგი ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის დირექტორი თავის უფლებამოსილებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საგანგებო მდგომარეობისთვის მზადყოფნის მინისტრის (Minister of Public Safety and Emergency Preparedness) მითითებით ახორციელებს.[28]
- ლიეტუვა: ლიეტუვაში მოქმედებს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი (Valstybės saugumo departamentas),[29] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს.[30]
- საბერძნეთი: საბერძნეთში მოქმედებს ეროვნული სადაზვერვო სამსახური,[31] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ახორციელებს.[32]
- სლოვაკეთი: სლოვაკეთში მოქმედებს სლოვაკეთის საინფორმაციო სამსახური (Slovenská informačná služba),[33] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს.[34]
- სლოვენია: სლოვენიაში მოქმედებს სლოვენიის სადაზვერვო და უსაფრთხოების სააგენტო (Slovenska obveščevalno-varnostna agencija),[35] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ახორციელებს.[36]
- ხორვატია: ხორვატიაში მოქმედებს უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტო (Sigurnosno-obavještajna agencija),[37] რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებასა და სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს.[38]

---

[27] იხ. https://www.canada.ca/en/security-intelligence-service.html

[28] იხ. კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის შესახებ კანადის კანონი: https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-23/FullText.html

[29] იხ. https://www.vsd.lt/

[30] იხ. ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლების შესახებ და სადაზვერვო საქმიანობის შესახებ ლიეტუვის კანონები:
https://www.e-tar.lt/portal/lt/legalAct/TAR.A0BAB27D768C/asr
https://www.e-tar.lt/portal/lt/legalAct/TAR.1881C195D0E2/asr

[31] იხ. https://www.nis.gr/el

[32] იხ. ეროვნული სადაზვერვო სამსახურის შესახებ საბერძნეთის კანონი: https://search.et.gr/el/fek/?fekId=372185

[33] იხ. https://www.sis.gov.sk/

[34] იხ. სლოვაკეთის საინფორმაციო სამსახურის შესახებ სლოვაკეთის კანონი:
https://www.slov-lex.sk/ezbierky/pravne-predpisy/SK/ZZ/1993/46/20160101
https://www.zakonypreludi.sk/zz/1993-46

[35] იხ. https://www.gov.si/drzavni-organi/vladne-sluzbe/slovenska-obvescevalno-varnostna-agencija/

[36] იხ. https://www.uradni-list.si/glasilo-uradni-list-rs/vsebina/2006-01-3534

[37] იხ. https://www.soa.hr/hr/

[38] იხ. ხორვატიის რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სისტემის შესახებ ხორვატიის კანონი: https://www.zakon.hr/z/744/zakon-o-sigurnosno-obavjestajnom-sustavu-republike-hrvatske

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, გია ბენაშვილი, არჩილ გორდულაძე, რატი იონათამიშვილი, იოსებ ჯორბენაძე, გენრიეტა წიწავა, ზვიად შალამბერიძე, ვიქტორ ჯაფარიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, გია ბენაშვილი, არჩილ გორდულაძე, რატი იონათამიშვილი, იოსებ ჯორბენაძე, გენრიეტა წიწავა, ზვიად შალამბერიძე, ვიქტორ ჯაფარიძე.

https://narodne-novine.nn.hr/clanci/sluzbeni/2006_07_79_1912.html